წერილი

იერუსალიმის პატრიარქის ხრისანტისა უნგრო -ვლახეთის მეჭურჭლეთუხუცესის

ახალგაზრდა ბატონი იანაკისადმი[1]- 1709 წლის დეკემბერი [2]

† ხრისანტი, წყალობითა ღვთისათა წმინდა ქალაქის იერუსალიმის

და

სრულიად პალესტინის პატრიარქი

ყოვლად პატიოსანო და დიდად პატივცემულო მთავარო დიდო მეჭურჭლეთუხუცესო, ახალგაზრდა ბატონო იანაკი, ჩვენი სიმდაბლის ღვთისმიერო სულიერო შვილო ღვთისგან და წმინდა ყოველსმყოფელი მაცხოვრის საფლავისგან იქონიე მადლი, მშვიდობა, წყალობა, შეწევნა, სიწმინდე და მფარველობა,ხოლო ჩვენგან გიგზავნით ლოცვას,კურთხევასა და შენდობას. ასევე შენს კეთილშობილ სამთავრო ოჯახს და ღირსეულ შვილებს გლოცავთ და ვევედრებით უფალ ღმერთს დაგიცვათ თქვენ და გიბოძოთ ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და მშვიდობა მარავალსა წელსა. მის მერე რაც თქვენი ღირსება წაბრძანდა აქედან, რამოდენიმე დღის შემდეგ ჩამოვედით ჩვენც და ძალიან დაგვენანა, რომ არ მოგვეცა საშუალება გაგვეხარა თქვენთან შეხვედრით და ცოცხლად გვესაუბრა ყველა საჭირო საკითხზე, ყველაფერზე, რაც გვაქვს

სათქმელი, მით უმეტეს,რომ არსებობს გარკვეული საკითხები, რომლების გადმოცემაც რთულია წერილობით და ძნელია მათი განმარტება ისე როგორც არის საჭირო. მხოლო კეთილი ინებოს მაღალმა ღმერთმა, ჩვენს [მთავარს] უბოძოს ჯანმრთელობა და კეთილძლიერება (სიმტკიცე) და ვიმედოვნოთ, რომ სხვა დროს შევხვდეთ იქ და იმ დროს სადაც იქნება ღვთის ნება და მაშინ ვისაუბრებთ ყველა საჭირო საკითხზე. ჩვენ,იერუსალიმის წმინდა ქალაქში, თქვენი ღირსება გვწერთ, რეზვანის [ეკლესიის] საკითხზე,ასევე გვთხოვთ მის შესახებ, ვინც წმინდა საბას[მონასტრის] წინამძღვრად ხელახლა დაინიშნა. და მე მივწერე წმინდა გიორგის [მონასტრის] წინამძღვარს, რომ შეასრულოს თქვენი ღირსების თქოვნა და თუ [წმინდა საბას მონასტრის] ხსენებული წინამძღვარი თუ ინებებს გაჩერდეს რეზვანის ეკლესიაში.

ხოლო, რადგან საწყალი მამა სერაფიმე გადავიდა სხვა მონასტრებში, მას ისევ მოჰყვა იგივე წინამძღვარი წმინდა საბას მონასტრიდან, რომ გახდეს მათი წინამძღვარი და ეს საქმე დარჩა დაუმთავრებელი. ხოლო მოვახსენებთ შენს ღირსებას, რომ თავდაპირველად დასალაგებელია ვითარება რაზვალში და მხოლოდ ამის შემდეგ იქნას დანიშნული პატიოსანი კაცი. გარდა თუ დარჩება იგივე სიტუაცია, რომელი წესიერი ადამიანი წავა ასეთ ეკლესიაში მონურად საშრომელად, როდესაც შეიძლება გაემგზავროს და უფრო მეტი სარგებელი მოუტანოს წმინდა საფლავს. შემდეგ, თქვენ ცდილობთ, რომ გამოიყვანოთ ეს ეკლესია წმინდა საფლავის [საპატრიარქოს] იურისდიქციიდან, მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელია, როგორც უკვე ნათქვამი მაქვს და მოწერილიც. და თუ საუკუნეების განმავლობაში წმინდა ქალაქის პატრიარქებს დაუშვიათ მსგავსი იკონომიები[3], ეს მხოლოდ მაშინ, როდესაც წმინდა საფლავის (მაცხოვრის) ეკლესიას მოუტანდა დიდ სიკეთეს. ხოლო ჩვენ თუ გავეცით რაზვანის ეკლესია, ვერ ვხდეავთ რა სიკეთე შეიძლება მოჰყვეს ამას. არც ჩვენ არ ვართ მაცხოვრის წმინდა საფლავის მფლობელები, არამედ მხოლოდ მისი მოწესეები.

შესაბამისად, რაც თავიდანვე ვთქვი იმავეს ვწერ ახლაც დარწმუნებით, თქვენო ღირსებავ,თუ გნებავთ მიეცით ოთხას ორმოცდაათი გროში, რომელბითაც იყო აღებული ქარვასლა თქვენი სიტყვის თანახმად (რადგან სხვა მიზეზი არ გვქონდა, რომ აგვეღო ის), და იქონიეთ 10 წლის განმავლობაში ხსენებული ეკლესია თქვენს

განკარგულებაში. და ამ შეთანხმების შესაბამისად ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც იქნება ამ ეკლესიაში, ბევრი ან მცირედი, დაიხარჯოს ამავე ეკლესიის სასარგებლოდ, იქ, სადაც თქვენი ღირსება ჩათვლის საჭიროდ,ყველანაირი შემოწმების გარეშე. და 10 წლის შემდეგ, ეს ეკლესია ისევ სრულად დაუბრუნდეს მაცხოვრის წმინდა საფლავს, იმის გარეშე, რომ არც თქვენ ღირსებას არც შთამომავლებს ქონდეთ რამე უფლება მასზე. მაშასადამე, თუ მიიღებთ ასეთ გადაწყვეტილებას, მოგვწერეთ და შეგვატყობინეთ და რომ ვიზრუნოთ რომელიმე პატიოსანი [წინამძღვრის] დანიშვნაზე. და თუ არ გადაწყვეტთ ასე, მაინც მოგვწერეთ, რომ ვიცოდეთ და სხვა არაფერი. ხოლო ამასაც გპირდებით, რომ თუ გნებავთ გააკეთეთ ისე როგორც წერთ, როდესაც ღმერთით მოვდივართ ჩვენც შევმატებთ ამას რითაც შეგვიძლია, ეკლესიის სასარგებლოდ და ამას ვაკეთებთ სიხარულით, რადგან ნებისმიერი რასაც გასცემ იმითვე ხელახლა ჩვენ გვიბრუნდება.

ხოლო თუ გაქვთ ამხელა კეთილგანწყობა, რომ მიიღოთ წმინდა საფლავის კუთვნილებაში მყოფი ეკლესია, იქ თქვენთან ახლოს არის პრახოვიცა და თქვენ გაძლევთ იმ ეკლესიას, რადგან ჩვენს აწ გარდაცვლილ მეუფესაც სურდა მისი გადაცემა როგორც თქვენმა ღირსებამაც იცის, აღარ იქნება მიტროპოლიტის მმართველობის ქვეშ და მაშინ მოიხსენება მისი სახელი ერთერთ მონასტერში, რომელიც იყო წმინდა საფლავის კუთვნილება,[4] იმის გარეშე, რომ არ იყოს შფოთი, არც მისთვის და არც სხვებისთვის,რადგან თუ ესეც იქნება სტავროპიგიული[5] როგორც ამას ამტკიცებს ბეჭედდასმული წინამდებარე წერილი. და არცერთ მცირე საქმეში მიტროპოლიტს არ აქვს უფლებამოსილება, ხოლო ჩვენ, თქვენდამი პატივისცემით გამო, აჰა გიგზავნით ამას (როგორც ჩანს აქ ლაპარაკია უფლებამოსილების დადასტურებაზე) და თუ ღებულობთ ამას, თუ გნებავთ რომ იყოს სტავროპიგიული, იყოს ასე, თუ გნებავთ იყოს მიტროპოლიტის დაქვემდებარებაში, გადაიცეს, რადგან არავინ რჩება ნაწყენი. ხოლოთუ არ გნებავთ მისი მიღება ხელახლა გადაეცით წერილი არქიმანდრიტს.[6]

ხოლო და რადგან სიტყვამ მოიტანა სტავროპიგიების და მოხსენებების საკითხი,როგორც ჩვენს ახლობელს, უფრო ვრცლად გწერთ თქვენს ღირსებას და თუ გაგვიგრძელდა სიტყვა და იქონიეთ მოთმინება და მოისმინეთ რასაც გწერთ.

ჩვენ, ღვთის წყალობით, არ მოვედით ამ ყოვლად წმინდა საყდარში მიტაცებით, არამედ კანონიკურად, უფრო მეტიც, ამ წესით არ იყო აღსაყდრებული არცერთი სხვა პატრიარქი არცერთ სხვა საპატრიარქოში, მის მერე, რაც იქნა დაპყრობილი კონსტანტინოპოლი. რადგან ჩვენი გადაყვანა ინსტიტუციონალურად და ეკლესიურად მოხდა სამეფო ხელისუფლებისგან (ნებართვის აღების) ჩარევის გარეშე და მხოლოდ მის შემდეგ, რაც მოხდა ჩვენი სრული აღსაყდრება მიეცა შეტყობინება ხელისუფლებას და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა მიღებული აღიარება. მივიღეთ რა მმართველობის (ზედამხედველობის) ეს თანამდებობა აღმოვაჩინეთ ამ სამოციქულო სახლის ძალიან ძველი პატივები- ღირსებანი, რომელთა შორის არის ესეც, რომ წმინდა ქალაქის ჟამთა შემდგომი პატრიარქები იყვნენ მოხსენებულნი ყველგან მათდამი დაქვემდებარებულ მეტოქიონებში.[7]

ეს ტრადიცია (ასევე როგორც ბევრი სხვა განსაკუთრებული პრივილეგია, რომელიც იყო მინიჭებული ამ წმინდა ქალაქის საყდრისთვის, როგორც ეკლესიის მიერ ასევე საერო ხელისუფლებისგანაც, რომლებიც არ გააჩნია არცერთ სხვა პატრიარქს) არავინ აღარ იცის როდიდან დაიწყო, რადგან ძალიან ძველია, მაგრამ ცნობილია, რომ ეს წესი იყო დაცული ჩვენს გარდა კიდევ ჩვენამდე კიდევ ექვსი პატრიარქის დროს, ანუ საუბარია პატრიარქ გერმანზე, პატრიარქ სოფრონიზე, პატრიარქ თეოფანეზე, პატრიარქ პაისიზე, პატრიარქ ნექტარიოსზე და პატრიარქ დოსითეოსზე. მათ დროს იყვნენ სხვა ძლიერი და ზეგავლენიანი პატრიარქები და მღვდელთმთავრები, ზოგიერთი მათგანი წმინდა საფლავის მტრებიც კი იყვნენ და მათ შორის იყო ბევრი და დიდი და კამათები. მაგრამ არასდროს არავის არ ჰქოდა კადნიერება ეთქვა რამე მოხსენების წინააღმდეგ, გარდა ამჟამინდელი კონსტანტინოპოლის ყოვლად უწმინდესი პატრიარქის მიერ, როდესაც ის იყო ადრიანოპოლის მიტროპოლიტი, რომელიც მეტოქიონთან დაკავშირებით მიიღო უნეტარესმა, მიუხედავად იმისა, რომ მასაც გააჩნდა გარკვეული სიმართლე, რადგან ასეთ თანხმობა იყო მიცემული წმინდა საფლავისთვის, რომ ჟამთა შემდგომი მიტროპოლიტებიც იქნან მოხსენებული, ხოლო უნეტარესმა პატრიარქმა გააუქმა ეს თანხმობა.

მაგრამ ამითაც, მისმა ყოვლად უწმინდესობამ, ვერაფერს ვერ მიაღწია,რადგან თავად მისი მოხსენიება არის გაუქმებული დაწყებული სიტყვებიდან: „პირველად მოიხსენე უფალო...“ და არა მხოლოდ შორეულ და სხვა ადგილებში, არამედ არც აქ, სამეფო ქალაქში [კონსტანტინოპოლში] ჩვენს მეტოქიონებში ყოვლად უწმინდესის კონსტანტინოპოლელი პატრიარქების თვალწინ და ასევე ნეოხორიონშიც, რადგან, მაშინაც როდესაც ესწრება ან არ ესწრება, თაობების მანძილზე იერუსალიმის პატრიარქები თვითმსახურების დროს არის მოხსენებული მხოლოდ მათი სახელები.[8]

შესაბამისად, ასეთი ტრადიცია არსებობდა ღვთით კურთხეულ ორ სამთავროშიც: უნგრო- ვლახეთში და მოლდო-ვლახეთში და ამ წესს იცავდა უნგრო-ვლახეთის აქამდე არსებული ყველა მღვდელთმთავარი, **სანამ არ გამოჩდა ამჟამინდელი მეუფე ანთიმოზი, რომელიც იყო გამოსყიდული [მონობიდან] წმინდა საფლავის ფულით [9] და თავისუფლება მიიღო აწ განსვენებული პატრიარქ დოსითეოზისგან და მან დაწერა განტევების წერილიც,** [10] ამ ანთიმოზმა თავისი უსაზღვრო ამპარტავნებით, ან უკეთესად რომ ვთქვათ აბსურდული და სულელური მანიით,ვითომ რომ დაფაროს ეს თავისი სირცხვილი,ისე რომ არავინ არაფერი არ გაიგოს, მოიგონა ლუციფერული სიახლე და თქვა: „აღვმართავ ჩემს საყდარს ღრუბლებზე მაღლა და გავხდები მსგავსი მაღალი ღმერთისა.“ და ასე გასცა ბრძანება, რომ მისი სახელი იყოს მოხსენიებული წმინდა საფლავის კუთვნილ მონასტრებში,ისე როგორც მან წარმოიდგინა და გადაწყვიტა. [11] ის არ დაკმაყოფილდა მხოლოდ ამით, არამედ **როგორც ავტოკეფალური და უმაღლესი მღვდელმთავარი, ბრძანა რომ ტირგოვიშტელი წინამძღვარი ფიზიკურად, ცემით ყოფილიყო დასჯილი თუ არ დაემორჩილებოდა მის ბრძანებას, ამის შესახებ ჩვენ მივიღეთ წერილობითი შეტყობინება მრავალი სარწმუნო ადამიანისაგან.** და, ჩემო ბატონო, ამ მეუფე ანთიმოზს თუ ქონდა ასეთი მიზანი, რომ ყოფილიყო მოხსენიებული მისი სახელი ჩვენს მონასტრებში, განა არ გვქონდა ჩვენ იმხელა პატივი, რომ მას ჰქონოდა მოთმინება და ჯერ ჩვენთვის ეკითხა-აქვს თუ არა მას უფლება, რომ იყოს მოხსენიებული? და როდესაც მიიღებდა ჩვენს პასუხს, თუ არ მოეწონებოდა მაშინ გაეკეთებინა რაც სურდა. [12] ნეტავ საიდან არის ასეთი უპატივცემულობა და განსაკუთრებით მუქარები, რომ ფიზიკურად, ცემით გაუსწორდებოდა წინამძღვარებს?[13]

ა ქ სხვა ფაქტიც აღვნიშნოთ, რომ თუ არ უნდოდა ჩვენთვის ეკითხა და შეეცადა გაეუქმებინა საპატრიარქოს ძველი პრივილეგია, რატომ არ ჰკითხა მის ყოვლად უწმინდესს [კონსტანტინოპოლის] პატრიარქს, რომლის დაქვემდებარებაშიც იმყოფება, და როდესაც მიიღებდა მისგან შესაბამის პასუხს, მაშინ განეწესა, რომ ყოფილიყო მოხსენიებული მისი სახელი? და თუ არ მიიღებდა პასუხს თვითონაც დადუმებულიყო.მაგრამ ბოროტება უგუნური საქმეა და არ აძლევს საშუალებას ადამიანს, რომ იფიქროს რაც საჭიროა და აგდებს მას სიგიჟეში, მაშასადამე ამით ცხადად დამტკიცდა ხალხური ანდაზა, რომ ბოშა გახდა მეფე და ჩამოაღრჩო საკუთარი მამა. რადგან, ღმერთის შემდეგ, რაც კარგი გააჩნია მას ყველაფრის პირველი მიზეზი ჩვენ ვართ. იქ სადაც გვეგონა, ჩვენ, რომ მისგან გვაქნებოდა სიყვარული, პატივი, ზრუნვა, დახმარება და შეწევნა წმინდა საფლავის სავანეებში, ჩვენთვის თავისი განზრახვით გამოიწვია მაგხელა უპატივცემულობა, არცერთ სხვა იერუსალიმის პატრიარქს არ უნახავს ასეთი უღირსი დამოკიდებულება საკუთარი თავის მიმართ მთელ მსოფლიოში არცერთი სხვა ღვთისნიერი მღვდელმთავრისაგან.

კიდევ ერთხელ ვამბობთ, რომ ღმერთის შემდეგ, ყველაფერი რაც გააჩნია მას იგი მიიღო ჩვენგან და ეს არის ჭეშმარიტება, რადგან ის იყო **ჩეტაცუიას მონასტრის წინამძღვარი იასში,** [14]და სხვა წინამძღვრებმა გარდაცვლილ უნეტარეს მეუფესთან დაწერეს წერილი „წინამძღვრებს შორის ერთერთი იყო ისიც, ვინც ახლა არის გალატას მონასტრის წინამძღვარი," იმ წერილში ეწერა, რომ მან გაანადგურა მონასტერი და იყო მოცემული ანგარიშით,სადაც ნაჩვენები იყო ზარალი რამოდენიმე ათას გროშის და ჩამოთვლილი იყო ბევრი შინაური ცხოველი და ფუტკრის სკები. და გარდაცვლილმა უნეტარესმა მეუფემ[15] უპასუხა რომ ყველა წინამძღვარი შეკრებილიყო და ქალაქ იასში წმინდა საბას სახელობის მონასტერში დაესაჯათ ანთიმოზი 200 დარტყმით და ჩაეკეტათ ის ჩეტაცუიას სამრეკლოში და ყოფილიყო მანდ დაცვის ქვეშ, სანამ არ მივიდოდა მანდ მისი უნეტარესობა[16] და ამასობაში ჩვენ გაგვაგზავნა იასში სხვა საკითხებთან დაკავშირებით და ლოცვა კურთხევით, რომ შევასრულოთ ის,რაც დაწერა მის შესახებ. და ჩვენ ჩავედით და ათასი ხერხით გამოვიყვანეთ ის უდანაშაულო,რადგან გვიყვარდა ის და ბოლოს ჩვენ წამოვიყვანეთ იასიდან და ჩავიყვანეთ ბუქარესტში. **და ვნახეთ რა,**

რომ ის იყო ნიჭიერი,ისევ გარდაცვლილი უნეტარესი მეუფის ნებით და ლოცვა კურთხევით ჩვენ დავილაპარაკეთ ბუზეუს ეპისკოპოსს მეუფე მიტროფანთან, რომ შესაწავლოს მას მესტამბეობა, რისთვისაც შევუთანხმდით და გადავუხადეთ 200 გროში.(და ასე, ჩვენი წყალობით, ის მივიდა იქ და გახდა ცნობილი და მიაღწია იმას რაც არის ახლა).[17]

ხოლო ის, როგორც ბოროტი სულის იარაღი, უმადური და უგონო აზროვნების მონამ ფარულად ჩაიდინა, ის, რაც გააკეთა და მიატოვა თავისი მეტანიის ადგილი.(სქოლიო მეტანიის ადგილი-იგულისხმება ის ადგილი,სადაც ადამიანი აღიკვეცება ბერად,რადგან აღკვეცის პროცესში პიროვნება შუა ტაძარში ასრულებს სამ მუხლმოდრეკვას „მეტანიას“ და ჯვრის სახით წვება იატაკზე. როგორც ჩანს, იერუსალიმს პატრიარქი ხრისანტი აქ გულისხმობს იმ ფაქტს, რომ ბუზეუში მესტამბეობის შესწავლის შემდეგ, ანთიმოზი მოღვაწეობას აგრძელებს ბუქარესტის სტამბაში, რაც გულისხმობდა იმას, რომ ის გამოვიდა იერუსალიმის პატრიარქის იურისდიქციიდან და შევიდა კონსტანტინეპოლის ეკლესიის იურისდიქციაში. წინამდებარე წერილიდან ირკვევა აქამდე უცნობი ფაქტიც, რომ ანთიმოზი ჯერ იერუსალიმში იყო აღკვეცილი ბერად და ნაკურთხი მღვდლად და მხოლოდ ამის შემდეგ იქნა გაგზავნილი ჯერ მოლდოვაში, ქალაქ იასში და მერე ვლახეთში, ქალაქ ბუქარესტში, სამოღვაწეოდ,რადგან ბერად ჯერ არ აღკვეცილი და მღვდლად არ ნაკურთხი ადამიანი ვერ დაინიშნებოდა რომელიმე მონასტრის წინამძღვრად) ამის გამო გარდაცვლილი მეუფე დოსითეოსი ძალიან განრისხდა და მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონების და საეკლესიო სამართლის საფუძველზე უნდოდა ანთიმოზის სამღვდლო ხარისხიდან განკვეთა და მისი შეჩვენება, როგორც გაუკეთებია მას სხვა მსგავს შემთხვევებში და მოწმეა მართალი ღმერთი, რომ ჩვენ შევაჩერეთ ამისი აღსრულება მრავალი მიზეზებიდან გამომდინარე, რომლების ახსნაც არ არის საჭირო ახლა აქ.

უფრო მეტიც, გარდაცვლილმა მეუფემ იმოქმედა თავისი ბუნების წინააღმდეგაც, როდესაც დაინახა, რომ ანთიმოზი აკურთხეს რიმნიკის ეპისკოპოსადაც ესეც მოითმინა. და მიუხედავად იმისა, რომ არჩევის შესაბამისად თვითონაც გამოთქვა თანხმობა,იცოდა, რომ რომც ეთქვა უარი ამას არ ექნებოდა შედეგი და ამიტომ ისე

წარმოაჩინა თითქოსდა იყო თანახმა, რადგან როგორც გვეუბნებოდა თავად უნეტარესი პატრიარქი, ჩვენ არ ვიმყოფებოდით იქ,ადგილზე. და უფრო მეტი წყენა იმის გამო მიიღო, რომ ანთიმოზმა არც მოისურვა შენდობის თხოვნა მისი უნეტარესობისგან თავის ღალატის გამო, ისე როგორც ეს გაუკეთებიათ სხვებს. ხოლო დიდად პატივცემული პატრიარქი დოსითეოსი წავიდა ამ ქვეყნიდან მარადიულ ცხოვრებაში და ღმერთისთვის ცნობილი განგებით ჩვენ შევცვალეთ ის,ამ სამოციქულო საყდარზე. ამ ქვეყნიდან წავიდა გარდაცვლილი მეუფე თეოდოსიც, და ჩვენც ვიყავით იქ, და ჩავთვალეთ, რომ სწორი იქნებოდა, რომ ანთიმოზი გამხდარიყო მიტროპოლიტი, ამის შესახებ ჩვენც გვკითხეს აზრი და რომც გვეთქვა უარი ვიცოდით, რომ ამას შედეგი არ ექნებოდა, უფრო მეტიც, ჩვენ გაგვიხარდა და მივიღეთ მონაწილეობა არჩევნების ხმის მიცემაში და მისი ყოვლად უკეთილშობილესობა მთავრის [კონსტანტინე ბრინკოვიანუს] დიდი სიყვარულის ხათრით, ჩვენ მაცხოვრის წმინდა საფლავის პატივისთვის უღირსი ქმედება ჩავიდინეთ იმით, რომ პირადად მივიღეთ მონაწილეობა ანთიმოზის მიტროპოლიტად არჩევნებში, პიროვნების, რომელიც იყო მაცხოვრის წმინდა საფლავის დეზერტირი.[18]

  როგორც ხედავს ღმერთის შეუმცდარი თვალი, რომ არ ყოფილიყო ვალდებულება, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია მისი უკეთილშობილესობა მთავრის მიმართ, ამას არ ვიზამდით იმ შემთხვეაშიც კი, რომ დანამდვილებით გვცოდნოდა დავკარგავდით თუ შევიძენდით ფულის 50 ქისას. მაგრამ ესეც გაკეთდა ჩვენი მხრიდან სიხარულით და იქ სადაც ველოდით, რომ დავკრიფავდით ყურძენს, დავკრიფეთ ეკალი და ჭინჭარი. და ასეთი სითამამით გაბედა და შეაჩერა ჩვენი სახელის მოხსენიება ღვთის მსახურების დროს, წესი, რომელიც დადგენილია ამდენი ხნის განმავლობაში და ახლა ჩვენი სახელის ნაცვლად მოიხსენება მისი სახელი. ამის შემდეგ, უსირცხვილო სახით, ის გვწერს, რომ თავისი აზრით, მაცხოვრის წმინდა საფლავის მონასტრები არ ეკუთვნიან ჩვენს საპატრიარქოს და ამიტომ მას უნდა, რომ მისი სახელი იყოს მოხსენიებული იქ. და ჩვენ გვიკვირს საიდან აქვს მას ასეთი ქედმაღლური აზროვნება. ნეტავ თავისი ეშმაკობით მოიფიქრა მან ეს, თუ მას ასე ასწავლეს იმ ვითომ ბრძენმა და ნასწავლმა ხალხმა, ვინც თავის გარშემო ჰყავს? ამ ხალხმა მისთვის დაწერეს პატარა ტექსტები და ჩუმად მისცეს

მას,მან კი მიიღო ისინი და ფიქრობს, რომ ისინი ნამდვილად თავისი დაწერილებია და უხარია და თავისი თავი ჰგონია თითქოსდა ბრძენია და გამორჩეული ღვთისმეტყველი, რადგან ყველამ -პატრიარქებმაც, მთავრებმაც, თავადებმაც და ყველამ დანარჩენმაც დიდმა თუ მცირემ იცის, რომ მაცხოვრის წმინდა საფლავის მონასტრები ეკუთვნიან ამ საპატრიარქოს,რადგან ეს მართლაც საპატრიარქო საყდარია, და მხოლოდ ის თავისი განსაკუთრებული სიბრძნით და გონებამახვილი აზროვნებით გვწერს, რომ მაცხვრის წმინდა საფლავის მონასტრები არ ეკუთვნიან ჩვენს საპატრიარქოს. ასეც რომ იყოს. რადგან წარმოაჩინა საკუთარი თავი, რომ იცის კანონები, ჩვენ ვკითხულობთ-როდის ისწავლა ისინი? მის შემდეგ რაც გახდა მიტროპოლიტი? ან მაშინ როდესაც გახდა რიმნიკის ეპისკოპოსი? რათქმაუნდა ის იტყვის, რომ ადრეც იცოდა კანონები. ე,ი, ესეც იცოდა, რომ ეპისკოპოსს იგივე უფლებები აქვს თავის ეპარქიაში, რაც აქვს მიტროპოლიტს თავის სამიტროპოლიოში. და რატომ, მაშინ როდესაც იყო რიმნიკის ეპისკოპოსი გარდაცვლილი პატრიარქ დოსითეოსის დროს, აქ გამოუთქვამს სურვილი,რომ ყოფილიყო მოსხენიებული მაცხოვრის წმინდა საფლავის მონასტრებში, რომლებიც იყვნენ მისი ეპარქიის ტერიტორიაზე? და ამისი სურვილი გაუჩნდა მხოლოდ ახლა, ჩვენი პატრიარქობის დროს, მის მერე,რაც თვითონ გახდა მიტროპოლიტი და თუ ამის გასამართლებლად იტყვის- ახლა მიიღო უფრო დიდი თანამდებობა, ეს მართლაც ასე არის გარეშე და სამოქალაქო საზომებით, ხოლო სულიერი საზომით მიტროპოლიტიც და ეპისკოპოსიც იგივეა. მხოლოდ ოთხ საპატრიარქო პირს გააჩნია ეს უპირატესობა სულიერ დარგში, ხოლო მიტროპოლიტებსა და ეპისკოპოსებს შორის არ არსებობს არანაირი განსხვავება, და თუ აქამდე ეს არ იცოდა მისმა ყოვლად უსამღვდელოებამ, გაიგოს ახლა.[19]

ჩვენ გვწერს, რომ ითხოვს მოხსენიებას საეკლესიო კანონების შესაბამისად. და ამაზეც არ გავაგრძელებთ საუბარს რადგან მიიღებს პასუხს სინოდალური ბეჭდით დამოწმებული წერილიდან. ხოლო, რადგან ის კანონებსაც ეძებს, მოისმინოს და გაიგოს შემდეგი. მისი ყოვლად უსამღვდელოესეობა, მსოფლიო წმინდა კრებებზე მიღებული კანონების მიერ არის განკვეთილი და შეჩვენებული,[20] როგორც მაცხოვრის წმინდა საფლავის შეურაცხმყოფელი.[21] არის შეჩვენებული და განკვეთილი, რადგან

[ნებართვის გარეშე]მიატოვა თავისი მეტანიის ადგილი[22] და არ ითხოვა არასდროს შენდობა და დარწმუნდეს ამ ყველაფერში ამ სამი სინოდალური დადგენილებების ასლებიდან, რომლებსაც გიგზავნით თქვენ, რადგან არ გვინდოდა კიდევ სხვა ბევრი მასალების გამოგზავნაც.

საეკლესიო კანონების მიერ არის განკვეთილი, რადგან რიმნიკუს ეპისკოპოსად გახდა ძალადობით და უკანონობით, რადგან კანონებში ცხადად წერია, რომ როდესაც განიკვეთება ეპისკოპოსი აუცილებელია 12 მოწმე ეპისკოპოსისა და კიდევ მაგდენი მღვდლის და ეკლესიის მსახურის მოწმობა. და თუ ილარიონის განკვეთისას, რომელიც მოხდა იქ, ხელი მოაწერა მაგდენმა პირმა, ესე იგი ანთიმოზის დაყენება ილარიონის ადგილზე ეპისკოპოსად იყო კანონიკური. ხოლო თუ მაგდენს ხელი არ მოუწერია და როგორც ვიცით და არც არსებობს მაგდენი ხელმოწერა, ე.ი. ანთიმოზი გახდა ეპისკოპოსი ძალადობით, უკანონობით და მოტყუებით.

და ის ფაქტი, რომ ის გახდა რიმნიკუს ეპისკოპოსი, უკანონოდ ცხადდება მეუფე თეოდოსის წერილიდანაც, სადაც სინდისით შეწუხებული, ის აღიარებს, რომ იმოქმედა უსამართლოდ და არა კანონიერად და ხსენებული ილარიონი იყო უსამართლოდ დასჯილი და ამის გამო მეუფე თეოდოსი ითხოვდა და მიიღო შენდობა.[23] მსოფლიო კრებების ცნობილი კანონები სჯიან, განკვეთავენ და შეაჩვენებენ ადამიანებს,რომლებიც ფარულად აწყობენ შეთანხმებებს, რომ გახდნენ რომელიმე გარდაცვლილი ეპისკოპოსის მემკვიდრეები, კანონები ითხოვენ, რომ ეს ფარული შეთანხმება არცერთ შემთხვევაში არ იყოს განხორციელებული და თუ შედგება მსგავსი ქმედება ახლა შეგებულად არ ვწერ, თუ რა სასჯელს ითხოვს სჯულის კანონი და თვითონ წაიკითხოს რა წერია წმინდა კანონების დადგენილებებში.[24] მაშასადამე აჰა ბევრი კანონი, რომელის სწავლაც არასდროს არ უსურვია მის ყოვლად უსამღვდელესეობას. და ახლა გაიგოს და ისწავლოს.

და ამ მცირე რაოდენობის ფაქტების შესახებ გწერთ თქვენს ღირსებას ცნობისთვის,რადგან გავიგეთ, რომ აქ ყოფნისას თქვენ მხარი დაუჭირეთ მას, რომ მოხდეს მისი ნების შესაბამისად, და მადლობა ღმერთს, რომ საქმე წარიმართა ისე,

როგორც მოხდა და აქედან არ დაიწერა არცერთი წერილი მისი ნების გასამტკიცებლად, რადგან ეს ფაქტი გამოიწვევდა დიდ და მრავალრიცხოვან სკანდალებს და ეს ბევრად გასცდებოდა თავისი სიმძიმით სინაიტელების საქმეს.[25] მისმა ყოვლად უსამღვდელესეობამ [ანთიმოზმა] ყველაფერი გააკეთა მაცხოვრის საფლავის ღირსების წინააღმდეგ. ხოლო ჩვენ ბევრი მიზეზის გამო სხვა არაფერს არ ვაკეთებთ, არამედ მხოლოდ ვწერთ, რომ იყოს განკვეთილი სრულად სინოდის მიერ აღდგომა დღეს მაცხოვრის საფლავის ტაძარში, რომ იყოს გაგონილი მისი ბოროტება მთელ სამყაროში, ისე როგორც გაგვიკეთებია სხვების შემთხვევაში, როდესაც ვიყავით იქ ადგილზე.

შეხედე, ჩემო ბატონო, რა გზა გაგვიხსნა ჩვენ ჩვენმა აგიოტაფიტმა[26]

თუ მივცემთ უფლებას იყოს მოხსენიებული ჩვენს ეკლესია მონასტრებში, რომლებიც არსებობენ მისი ეპარქიის ტერიტორიაზე იგივე უფლება უნდა მივცეთ სხვა ეპისკოპოსებსაც, რომელთა ეპარქიების ტერიტორიებზე იმყოფება წმინდა საფლავის სალოცავები. იგივე უფლება უნდა მივცეთ მოლდო-ვლახეთის ეპისკოპოსებსაც,[27] ასევე აქაურ, ადგილობრივ ყოვლად უწმინდესობას და ყველა მღვდელმთავარს რომელთა ეპარქიების ტერიტორიაზეც არსებობენ მაცხოვრის წმინდა საფლავის კუთვნილი მეტოქიონები.[28] ესე იგი არც დაფიქრდა, რომ არ დავუშვებთ მსგავს რაღაცას არა მხოლოდ პატივის, არამედ სიცოცხლის საშიშროებითაც და როგორ თუ გაბედა და გაიფიქრა თავისი უგუნურებით ასეთი რამ. შემდეგ, რომც მიეღწია და მიეღო სინოდის წერილი, რომ გვდომებოდა მოგვეგვარებინა ეს საკითხი მშვიდობიანად და რომ შევსულიყავით საქმის გარჩევებში მის ყოვლად უწმინდესობასთან კონსტანტინეპოლის და ყოვლად უსამღვდელოეს მღვდელმთავრებთან, ორი ფლორინით დავამთავრებდით მთელ საქმეს. ცვილის ხუთ ოკალს[29] მივცემდით წმინდა დიდ ეკლესიას[30] და ყველა ჩვენს მეტოქიონს ერთი წერილით გამოვაცხადებდით კონსტანტინეპოლის სტავროპიგიებად, ისევ იმის გარეშე, რომ იყოს მოხსენიებული მისი ყოვლად უწმინდესობის სახელი ჩვენთან არსებული წესის მიხედვით.

მაშასადამე, ჩვენ კი არ გვეწყინა, რომ თქვენო ღირსებავ გიყვართ ეკლესიის ხალხი და ეხმარებით მათ, მაგრამ რატომ გინდათ მხარი დაუჭიროთ უსამართლო და უკანონო

საქმეებში და რომლებიც მაცხოვრის წმინდა საფლავის ღირსების წინააღმდეგნი არიან, და ეს ყველაფერი ხდება წმინდა კანონების სიზუსტისა და ძალის უცოდინარობით, ან იმის გამო, რომ მისმა ცბიერმა ენამ შეგაცდინათ. და ამას არ ვამბობთ თქვენი ღირსების მიმართ ცუდი წარმოდგენის გამო, რადგან თქვენ გიცნობთ როგორც პატიოსან და ღვთისმოსავ ადამიანად და გატყობინებთ და გთხოვთ, რომ არ გქონდეთ მსგავსი წარმოდგენა,რადგან ჩვენი საყვედურები დასრულდა და მშვიდობა დავამყარეთ.

მხოლოდ ერთი რამის თქმა გვინდა ამ საკითხთან დაკავშირებით, რომ ამ საქმეზე სხვა არავისთან არ ვილაპარაკებთ გარდა თუ ღვთის წყალობით ვიქნებით ცოცხლები ვეტყვით მხოლოდ მის უდიდებულესობას, ჩვენს მთავარს, როდესაც შევხვდებით და ვიმედოვნებთ დაგვიჭერს მხარს ჩვენს სიმართლეში. ვევედრებით ყოვლად წმინდა ღმერთს დაიცვას ჩვენი ღვთისმოსავი მთავარი ყოველი მტრისაგან, რადგან ის არის ჩვენი ყველასი მფარველი და დამცველი, რომლის მადლიც და უსაზღვრო წყალობა იყავ თქვენთანა მთელი ცხოვრების განმავლობაში.

კონსტანტინოპოლიდან,

1709 წელი დეკემბერი

კომენტარები:

---

[1] ეს არის ისტორიული პირი, მთავარ კონსტანტინე ბრინკუვიანუს მრჩეველი, იანიჩარი იანაკი, რომელიც მთავართან და მის ოთხ ვაჟთან ერთად მოწამეობრივად აღესრულა.

[2] წერილი თარგმნილია კრებულიდან: ანთიმოზ ივერიელი; წერილები, ბუქარესტი, გამ-ბა ბაზილიკა, 2014. გვ. 27-29. Scrisori / Sfântul Antim Ivireanu ; lucrare publicată cu binecuvântarea Preafericitului Părinte Daniel, Patriarhul Bisericii Ortodoxe Române ; ed. îngrijită de Arhimandrit Mihail Stanciu şi acad. Gabriel Ştrempel. - Bucureşti : Basilica, 2014; გვ 43- 65.

[3] იკონომია -საეკოსიო კანონიკური წესი, რომლის დროსაც ხდება ძირითადი კანონის, წესის ან სანქციის შერბილება, ან შემსუბუქება,რაც ხდება კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, პრობლემის უფრო

უკეთესი,უმტკივნეულო და დადებითი შედეგის მისაღებად. იკონომიის პრინციპს საფუძვლაად დაედო მაცხოვარი იესო ქრისტეს სიტყვები: “ადამიანი კი არ შეიქმნა შაბათისთვის, არამედ შაბათი შეიქმნა ადამიანისთვის,“ ანუ არცერთი წესის თუ კანონის შესრულება არ წარმოადგენს თვითმიზანს, მითუმეტეს შურისძიების საშუალებას, არამედ ადამიანის გამოსწორება და კონკრეტული პრობლემის მოგვარება.

[4] ღვთისმსახურების დროს ადგილობრივი მღვდელმთავრის, მისი სრული ტიტულით სახელის მოხსენიება არის აუცილებელი, კანონიკური წესი, რომლითაც გამოიხატება კონკრეტული ტაძრის, მასში მსახური სასულიერო პირების, და მლოცველი მრევლის კანონიკური მორჩილება. საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ტრადიციით, ღვთისმსახურების დროს აუცილებლად მოიხსენება ადგილობრივი მღვდელმთავარი და სრულად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი

[5] სტავროპიგიული- ორი ბერძნული სიტყვისგან შემდგარი სიტყვაა: სტავროს-ჯვარი და პიგო-დარჭობა, დასმა. სპეციალური საპატრიარქო ჯვარი აღიმართებოდა ხოლმე ამა თუ იმ ტაძარში ან მონასტერში იმის ნიშნად, რომ კონკრეტული სალოცავი არ არის ადგილობრივი მღვდელმთავრის იურისდიქციაში, არამედ იმართება უშუალოდ პატრიარქის მიერ. არსებობს ასეთი ტრადიცია, რომ ეკლესიის კანონიკური წესწყობის შესაბამისად ეკლესია ემორჩილება ადგილობრივ ეპისკოპოსს, მაგრამ შეიძლება პატრიარქმა გადაწყვიტოს გარკვეული მიზეზებიდან გამომდინარე, რომ კონკრეტული ტაძარი, რომელიც ამ ტერიტორიაზეა უნდა ემორჩილებოდეს არა ადგილობრივ ეპისკოპოსს, არამედ პატრიარქს და ამის აღსანიშნავად აღიმართებოდა სპეციალური საპატრიარქო ჯვარი.

[6] არქიმანდრიტი-მაღალი იერარქიული თანამდებობა, რომელიც გულისხმობს, რომ პიროვნება არის აღკვეთილი ბერად, ნაკურთხი მღვდლად და არის რამოდენიმე მონასტრის წინამძღვარი. დღეს დღეობით არქიმანდრიტი არის მხოლოდ ბერად აღკვეცილ სამღვდელოებაში მაღალი საპატიო ტიტული და არ გულისხმობს რომელიმე კანონიკურ უფლებამოსილებას.

[7] მეტოქიონი - საეკლესიო ნებისმიერი დაწესებულება (მონასტერი,მომლოცველთათვის განკუთვნილი სასტუმრო, მეურნეობა და ასე შემდეგ), რომელიც დაქვემდებრებულია რომელიმე საეკლესიო დაწესებულებაზე(საპატრიარქო, ეპარქია, მონასტერი,საკათედრო ტაძარი და ასე შემდეგ), რომელიც ტერიტორიულად იმყოფება მეტ ნაკლებად შორ მანძილზე და შეიძლება სხვა ეპარქიის ან საპატრიარქოს ტერიტორიაზეც კი.

[8] ხრისტანტ ნოტარა აქ იხსენიებს ახალ ტრადიციას, რომელიც ჩამოყალიბდა მე 16 საუკუნეში, როდესაც იერუსალიმის პატრიარქის სახელის მოხსენიება ხდებოდა წმინდა საფლავისთვის შეწირულ ყველა მეტოქიონში. რაც ცხადია ეს იყო ქტიტორების მიერ არაკანონიკური პრივილეგია მიცემული იერუსალიმის პატრიარქებისადმი, ხოლო ადგილობრივი ეპისკოპოსები, რომლებიც თავისივე ნებით იერუსალიმის პატრიარქებს აძლევდნენ ფინანსურ ან იურიდიულ პრივილეგიებს, თურქების მიერ იყვნენ გაძარცულები.

[9] იერუსალიმის წმინდა საფლავის ფინანსები ძირითადად შემოდიოდა უნგრო ვლახეთის სამთავროებიდან და ამაშიც ჩანს ღვთის განგება, რომ წმინდა ანთიმოზმა ძირითადად თავისი ღვაწლი და ენერგია შეწირა რუმინელი ხალხის სულიერ და კულტურულ აღორძინებას

[10] განტევების (გათავისუფლების) კანონიკური წერილი ეძლეოდა ხოლმე მონას თავისი ბატონისაგან, რითაც ის ხდებოდა თავისუფალი და მას ეძლეოდა უფლება მიეღო ნათლობა, სასულიერო პირად კურთხევა, ან აღკვეცა. ასეთნაირად ამქვეყნიური მონობიდან გათავისუფლებულ ადამიანს ეძლეოდა საშუალება გამხდარიყო ღვთის მონა და ემსახურა ეკლესიის წიაღში. მე -IV მსოფლიო კრების მე -4 კანონში ნათქვამია:“...მონასტრებში არ უნდა მიიღონ არცერთი ტყვე(მონა) და არ უნდა აღიკვეცოს ბერად თავისი ბატონის ნებართვის გარეშე..,“

[11] წმინდა ანთიმოზი ცდილობდა დაებრუნებინა უნგრო ვლახეთის კანონიკური წესი და რომ ის აღარ ყოფილიყო დამოკიდებული უცხო საეკლესიო სტრუქტურებზე.

[12] რეალურად ჩვენ ვხედავთ, რომ ანთიმოზ ივერიელი არის ვლახეთის ეკლესიის ავტოკეფალიისთვის ერთერთი პირველი მებრძოლი, მიზანი, რომელიც ისტორიაში არასდროს არ მიღწეულა გარკვეული სითამამისა და შეიძლება ითქვას ავტორიტარიზმის გარეშე. შემდგომში 1865 წელს, რუმინეთის ეკლესიამ ოფიციალურად გამოაცხადა თავისი ავტოკეფალია,რასაც მოჰყვა კონსტანტინოპოლის მხრიდან ყველანაირი საეკლესიო, კანონიკური და ლიტურგიკული ურთიერთობების და კავშირების შეწყვეტა და მხოლოდ 20 წლის შემდეგ, 1885 წელს მოხდა კონსტანტინოპოლის მხრიდან რუმინეთის ეკლესიის

ავტოკეფალიის აღიარება. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ის ფაქტიც, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ 1917 წელს რუსეთის ეკლესიამ ასევე გაწყვიტა საქართველოს ეკლესიასთან ევქარისტიული კავშირი 1943 წლამდე და მხოლოდ 1990 წელს კონსტანტინოპოლის ეკლესიის მხრიდან მოხდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის და საპატრიარქო რანგის აღდგენის აღიარება. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ის პრობლემები, რომლებიც არსებობს დღეს დღეობით, ჩვენს დროში, უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება/აღიარების საკითხში.

[13] ამ მონაკვეთში აშკარად ჩანს, თუ როგორ განსაკუთრებით არის ხრიზანტი გაბრაზებული ანთიმოზ ივერიელზე, რადგან ის არ უთმობდა მას სნაგოვის მონასტერს, სადაც გარკვეული წლების განმავლობაში თვითონ იყო წინამძღვარი და ბევრი იღვაწა ამ მონასტრის აღორძინებისთვის. ხოლო იერუსალიმის პატრიარქს უნდოდა, რომ ეს მონასტერი გაეხადა თავის მეტოქიონად და ამიტომ არ იშურებდა, რომ ანთიმოზისთვის დაებრალებინა ყველანაირი დანაშაული, რომ ხელისუფლების თვალში დაცემულიყო მისი ავტორიტეტი.

[14] ფაქტი, რომ ანთიმოზ ივერიელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში იყო მოლდოვაში, ქალაქ იასში არსებულ ჩეტაცუიას მონასტრის წინამძღვარი, არის ამ წერილის წყალობით ახალი აღმოჩენა ანთიმოზის ცხოვრებასთან დაკავშირებით

[15] აქ იგულისხმება იერუსალიმის წინა პატრიარქი დოსეთიოსი ნოტარა ხრისანტ ნოტარას ალალი ბიძა.

[16] ფაქტი რომ ჩეტაცუიას მონასტრის ქონების გაფლანგვის შესახებ ინფორმაცია იყო ცილისწამება მტკიცდება იმით, რომ მოგვიანებით, როდესაც ანთიმოზი იყო სნაგოვის მონასტრის წინამძღვარი, რიმნიკის ეპისკოპოსი და ბუქარესტის მიტროპოლიტი, მან ბევრად გაამრავლა ეკლესიის ქონება. ეს ფაქტი მტკიცდება ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტებით და კონსტანტინე ბრინკოვიანუსადმი ანთიმოზ ივერიელის მიერ დაწერილი ე.წ. „თავდაცვის წერილებით“.

[17] 1709 წელს ანთიმოზი უკვე იყო ყველაზე ცნობილი მესტამბე ქრისტიან მართლადიდებლურ სივრცეში. იმ დროისთვის,მას უკვე ქონდა დაბეჭდილი წიგნები, და წირვის ჩატარებისთის აუცილებელი ნივთები- “ოდიკები“-ბერძნულ, რუმინულ, სლავურ, არაბულ და ქართულ ენებზე.

[18] აქ ისევ იგულისხმება ის ფაქტი, რომ უნგრო-ვლახეთის მიტროპოლიაში ჩასვლით და იქ მოღვაწეობის დაწყებით ანთიმოზ ივერიელი ავტომატურად გამოვიდა იერუსალიმის საპატრიარქოს იურისდიქციიდან და შევიდა კონსტანტინეპოლის ეკლესიის მორჩილებაში, რომლის იურისდიქციაშიც იმ დროს იმყოფებოდა უნგრო-ვლახეთის ეკლესია

[19] აქ პატრიარქი ხრიზანტი გამოთქვამს ბერძნული ეკლესიების მიერ მოგონილი ე.წ. „პენტარქიის“ ცრუ თეორიას, რომლის მიხედვითაც ვითომ მხოლოდ ხუთ ადგილობრივ ეკლესიას: რომს ,კონსტანტინეპოლს, ალექსანდრიას, ანტიოქიას და იერუსალიმს გააჩნია განსაკუთრებული, საკრალური მადლი და შესაბამისად კანონიკური სტატუსი და უპირატესობა სხვა ადგილობრივ ეკლესიებთან შედარებით.რადგან 1054 წლის შემდეგ რომის ეკლესია გამოეთიშა აღმოსავლეთის მართადიდებელი ეკლესიასთან ერთობას,ამიტომ პატრიარქი ხრიზანტი, თავის წერილში, ახსენებს მხოლოდ ოთხ საპატრიარქოს. სინამდვილეში, როგორც მტკიცდება, მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის ისტორიიდან და საეკლესიო კანონებიდან (მეორე მსოფლიო კრების მესამე კანონი; მეოთხე მსოფლიო კრების 28-ე კანონი) გამომდინარე მტკიცდება რომ პირველი ხუთი საპატრიარქოს შორის არსებული რიგითობა განისაზღვრა არა რომელიმე რელიგიური, საკრალური კრიტერიუმით,არამედ რომის იმპერიაში კონკრეტული ქალაქების პოლიტიკური სტატუსითა და ეკონომიკური სიძლიერით. რომი იყო იმპერიის ძველი და თავდაპირველი დედაქალაქი, კონსტანტინეპოლი იმპერიის ახალი დედაქალაქი, ალექსანდრია იყო აფრიკის პრეფექტურის დედაქალაქი და ხმელთაშუა ზღვაში ყველაზე დიდი პორტის მქონე სავაჭრო ცენტრი, ხოლო ანტიოქია იყო აღმოსავლეთის პრეფექტურის დედაქალაქი, და მხოლოდ იერუსალიმი იყო შეყვანილი „პენტარქიის“ საპატრიარქო რიგში მხოლოდ რელიგიური კრიტერიუმით, როგორც მაცხოვარი იესო ქრისტეს ქალაქი, მაგრამ ისიც მხოლოდ ბოლო ადგილზე.

[20] განკვეთა გულისხმობს სამღვდელო ხარისხის შესაბამისად სამღვდელო მოქმედების უფლების სამუდამო ჩამორთმევას. შეჩვენება,ანათემა არის საეკლესიო სასჯელის უმკაცრესი ფორმა, როდესაც ადამიანს ჩამოერთმევა ზოგადად ეკლესიის წევრობის სტატუსი,ანუ საერო დასიდანაც არის მოკვეთილი ეს კონკრეტული პიროვნება.

[21] მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მთელ სჯულის კანონში არ არსებობს არცერთი კანონი, რომელიც გულისხმობდეს სპეციალურად მაცხოვრის წმინდა საფლავის შეურაცხყოფისათვის განსაკუთრებულ

სასჯელს. აქედან ჩანს, რომ პატრიარქ ხრისანტის მიერ ანთიმოზ ივერიელის მიმართ წაყენებული ბრალდებები არის უსაფუძვლო და რეალობას მოკლებული.

[22] როგორც უკვე იყო ნათქვამი მანამდე პატრიარქი ხრისანტი ბრალს სდებდა ანთიმოზ ივერიელს, რომ ვითომ ის სპეციალური ნებართვის გარეშე გადავიდა იერუსალიმის საპატრიარქოს იურისდიქციიდან კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს იურისდიქციაში. ეს ბრალდებაც აშკარად იყო უსაფუძვლო, რადგან ერთი იურისდიქციიდან მეორე იურისდიქციაში სასულიერო პირის გადასვლის შემთხვევაში,პირველ რიგში პასუხი მოეთხოვება მიმღებ მხარეს, ანუ ამ შემთხვევაში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და მერე უკვე გადასულ სასულიერო პირს. ხოლო რადგან ერთი იურისდიქციიდან მეორე იურისდიქციაში გადასვლას იერუსალიმის საპატრიარქოს მხრიდან არ მოჰყოლია არანაირი გაპროტესტება, უფრო მეტიც,იერუსალიმის ეკლესია უშუალოდ მონაწილეობდა ანთიმოზის ეპისკოპოსად არჩევაში და შემდგომში მიტროპოლიტად კურთხევაში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ანთიმოზის გადასვლა კონსტანტინეპოლის ეკლესიის იურისდიქციაში იყო შეთანხმებული და იერუსალიმის მხრიდან იმთავითვე აღარებული აქტი. ზოგადად, სასულიერო პირის ერთი იურისდიქციიდან მეორეში გადასვლა ითვლება სერიოზულ კანონიკურ ქმედებად და ყოველთვის არის გამაგრებული შესაბამისი წერილობითი თუ ზეპირი ნებართვებით, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ანთიმოზის გადასვლა კონსტანტინეპოლის ეკლესიის კანონიკურ სივრცეში ვერ იქნებოდა შეუთანხმებელი უმაღლეს იერარქებს შორის,ამიტომ აქაც უნდა დავასკვნათ, რომ ხრისანტის ბრალდება იყო უსაფუძვლო და მიზნად ისახავდა მხოლოდ ანთიმოზთან პირად ანგარიშსწორებას.

[23] ეპისკოპოსი ილარიონი იყო განკვეთილი ეპისკოპოსის ხარისხიდან 1705 წელს. მისი სიახლოვის გამო კათოლიკურ ეკლესიასთან. როგორც უკვე ითქვა, 1700-1701 წლებში, ტრანსილვანიის რეგიონში მოხდა მასობრივი უნიზაცია და მართმადიდებელი მრევლის და სამღვდელოების დიდი ნაწილი იყო გადაბირებული კათოლიკურ ეკლესიაში. ამიტომ დაწყებული იმ პერიოდიდან დღემდეც მართმადიდებლურ და კათოლიკურ ეკლესიებს შორის ურთიერთობები წარმოადგენენ ძალზედ სენსიტიურ თემას. თუ ეპისკოპოს ილარიონის გადაყენება მოხდა უკანონოდ და გარკვეული პროცედურული დარღვევებით, ამაში ბრალი არ მიუძღვის ანთიმოზ ივერიელს და მისი არჩევა და კურთხევა რიმნიკუს ეპისკოპოსად იყო აბსოლუტურად კანონიერი. თუ ილარიონის განკვეთა მოხდა უსამართლოდ უნდა დამტკიცდეს ანთიმოზის უშუალო მონაწილეობა ამ უსამართლობაში. მაგრამ თვითონ ის ფაქტი, რომ ვინმეს ირჩევენ ეპისკოპოსად სამართლიანად თუ უსამარათლოდ გადაყენებული მღვდელმთავრის ადგილზე თავისთავად ეს დანაშაულს არ წარმოადგენს.

[24] საინტერესოა რომ პატრიარქ ხრისანტს არ მოჰყავს არცერთი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ანთიმოზ ივერიელი მართლა ყოფილიყო რომელიმე შეთქმულების ორგანიზატორი ან მონაწილე და რომ მისი უშუალო მოქმედებით უსამართლოდ ყოფილიყო გადაყენებული ეპისკოპოსი ილარიონი.რადგან ხრისანტის ამ წერილიდან ვერანაირად ვერ მტკიცდება ანთიმოზის ბრალეულობა, ამიტომ იმის მტკიცება, რომ ანთიმოზი იყო უკანონოდ არჩეული და ნაკურთხი რიმნიკუს ეპისკოპოსად ყველანაირ საფუძველს არის მოკლებული.

[25] როგორც ჩანს აქ პატრიარქი ხრისანტი იხსენიებს რომელიღაცა დიდად გახმაურებულ კონფლიქტურ სიტუაციას, რომელიც იმ პერიოდში წარმოიქმნა სინას მთაზე არსებულ მონასტერსა და იერუსალიმის საპატრიარქოს შორის.

[26] აგიოტაფიტი- ბერძნული შედეგენილი სიტყვაა: „აგიოს“-წმინდა, „ტაფიტი“- საფლავი, ანუ სიტყვა სიტყვით ითარგმნება როგორც „წმინდა საფლაველი“. აგიოტაფიტებს ანუ წმინდა საფლაველებს ეძახდნენ იერუსალიმში ნაკურთხ და გაზრდილ სასულიერო პირებს,აქედან მტკიცდება ის ფაქტი, რომ ტყვეობის შემდეგ ანთიმოზ ივერიელმა თავისი მოღვაწეობა გააგრძელა პალესტინაში, კერძოდ იერუსალიმში და იქ მოხდა მისი ბერად აღკვეცა და მღვდლად კურთხევა. ეს ფაქტი იქედანაც მტკიცდება, რომ ანთიმოზის განსჯისა და განკვეთის შემდეგ გადასახლებაში მას აგზავნიან პალესტინაში სინას მთაზე არსებულ წმინდა ეკატერინეს მომასტერში,რადგან ბერების შემთხვევაში, საეკლესიო ტრადიციის მიხედვით, სინანულის ბოლო ადგილად მიიჩნევა ის ადგილი სადაც მოხდა მისი აღკვეცა(ბერობის აღთქმის დადება.

[27] მოლდო-ვლახეთი--ძველი რუმინული სახელმწიფო,რომელიც ტერიტორიულად მოიცავდა თანამედროვე რუმინეთის აღმოსავლეთ პროვინციებს მოლდოვის რესპუბლიკას და უკრაინის ჩერნოვცის და იზმაილის ტერიტორიებს.

[28] აქედან ჩანს იერუსალიმის პატრიარქ ხრისანტ ნოტარას პროტესტის რეალური მიზეზი, რომ მას ეშინოდა ანთიმოზ ივერიელის მაგალითს არ გაჰყოლოდნენ სხვა მღვდელმთავრებიც, რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი, ავტოკეფალური, ეროვნული ეკლესიების ჩამოყალიბებას და შედეგად შეარყევდა იერუსალიმის საპატრიარქოს ფინანსურ მდგომარეობას და საერთაშორისო წონასა და ზეგავლენას.

[29] ოკალი- ცვილის წონის ერთეული

[30] წმინდა დიდი ეკლესია-კონსტანტინეპოლის წმინდა საპატრიარქო